# ახალგაზრდები დემოკრატიისათვის

## ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორი



Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

# ახალგაზრდები დემოკრატიის პროგრამისათვის




## ჩვენი მისია

- **გაფართოვდეს ახალგაზრდების მონაწილეობა**
  ... რათა ახალგაზრდები აზრიანად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ყველა დონეზე, ფართო სოციალური და პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე, მონაწილეობითი მმართველობისა და ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად.
- **გაძლიერდეს ახალგაზრდების წვდომა უფლებებზე**
  ... რათა ახალგაზრდებსა და ყველა ფორმის ახალგაზრდულ სამოქალაქო საზოგადოებას შეეძლოს ხელსაყრელი გარემოს ნდობა და თავიანთი უფლებებითა თუ თავისუფლებებით სრული სარგებლობა, მათ შორის, კონკრეტული პოლიტიკით, მექანიზმებითა და რესურსებით.
- **გაღრმავდეს ახალგაზრდების ცოდნა**
  ... რათა ახალგაზრდა ადამიანების დემოკრატიულ ჩართულობას მხარს უჭერდნენ პროფესიული გაერთიანებები, რომლებიც ცოდნასა და ექსპერტიზას ავითარებენ.

## ჩვენი ამოცანა

- **ახალგაზრდა ადამიანების წინაშე არსებულ გამოწვევათა დაძლევა**
  - მათი უფლებების სრულად გამოსაყენებლად
  - მათი პიროვნული განვითარებისათვის
  - მათი აზრიანი მონაწილეობისა და ჩართულობისათვის საზოგადოებაში
  - დამოუკიდებელი ცხოვრების დაუბრკოლებლად დაწყებისათვის

**ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორი:** დემოკრატიული თაობებისა და ადამიანის უფლებებით შთაგონებული ახალგაზრდა ევროპელების ფორმირება

## ჩვენი პრიორიტეტები

- ახალგაზრდა ადამიანების ხელშეწყობა, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთ უფლებებზე და მათი მხარდაჭერა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე განათლების ადვოკატირებაში.
- ახალგაზრდა ადამიანების დახმარება მათი მეტი დამოუკიდებლობისა და მონაწილეობისათვის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და მუშაობის ხელშეწყობის გზით, ასევე ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით.
- ახალგაზრდების ჩართვა სამშვიდობო და სოციალური შეჭიდულობის აქტივობებში, დისკრიმინაციისა და გარიყულობის აღსაკვეთად.
- წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობათა გაძლიერება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიმართულებით, ევროპის საბჭოს სტანდარტების დასამკვიდრებლად.

## ჩვენი ინსტრუმენტები

- ერთობლივად მართული საწესდებო კომიტეტები
- ევროპული ახალგაზრდული ცენტრები (სტრასბურგსა და ბუდაპეშტში)
- ევროპული ახალგაზრდული ფონდი
- ევროკომისიასთან პარტნიორობა ახალგაზრდული საკითხების სფეროში



**სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობა** პანევროპულ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელებისათვის, ევროპის საბჭოს სტანდარტებზე დაყრდნობით



## ჩვენი ხედვა

- მთელი ევროპის ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება, **აქტიურად შეასრულონ, დაიცვან, განავითარონ და გამოიყენონ ევროპის საბჭოს საკვანძო ღირებულებები: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა.**

## ჩვენი პოლიტიკა

- **ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ახალგაზრდულ მუშაობაში შესაძლებლობებზე ფოკუსირებული მიდგომის** დამკვიდრება
- ახალგაზრდა ადამიანების **სრულად ჩართვა** თავიანთ ჩამოყალიბებასა და განვითარებაში

## ჩვენი დახმარება წევრ სახელმწიფოებს

- **მიმოცვლის, თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების** მეშვეობით, ახალგაზრდული პოლიტიკის **განვითარება, დანერგვა, შეფასება**

## ხარისხის ნიშანი ახალგაზრდული ცენტრებისათვის

- **ახალგაზრდული ცენტრები** ასოცირდება ჩვენს **ღირებულებებთან, ფილოსოფიასა და საგანმანათლებლო მიდგომებთან**

## ჩვენი უპირატესობანი

- **კომპეტენცია**
  ახალი და ინოვაციური მეთოდოლოგიები, მიდგომები და კონცეფციები
- **ექსპერტიზა**
  ექსპერტთა ფართო ევროპული ქსელი
- **ლეგიტიმურობა**
  ევროპის საბჭოს უფლებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული მუშაობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ფილოსოფია
- **ხარისხი**
  ევროპის საბჭოს ხარისხთან დაკავშირებული რეპუტაცია ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ახალგაზრდულ მუშაობაში, საერთაშორისო ახალგაზრდულ სექტორში

## ჩვენი პრინციპები

- ურთიერთპატივისცემა
- ნდობა
- ჩართულობა
- უწყვეტი მონდომება
- მონაწილეობა
- თანასწორობა
- გამჭვირვალობა
- თანამშრომლობა

**წევრი სახელმწიფოების დახმარება,** კერძოდ, საკონსულტაციო მისიებით ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში და სხვა მრავალმხრივი თუ ორმხრივი მხარდამჭერი ღონისძიებებით



# ევროპული ახალგაზრდული ცენტრები სტრასბურგსა და ბუდაპეშტში




## ევროპული ახალგაზრდული ცენტრები

- **ინოვაციური პოლიტიკის განვითარების, სტანდარტის დადგენის, სწავლების, კვლევისა და საგანმანათლებლო კუთხით შემოქმედებითობის** უნიკალური კომბინაცია
- **საგანმანათლებლო და სასწავლო** აქტივობები პროგრამებში „ახალგაზრდები დემოკრატიისათვის“
- ახალგაზრდული სექტორის **საგანმანათლებლო ფილოსოფია, მიდგომები და პრინციპები**
- **კავშირების დამყარება** და **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მიმოცვლა** საერთაშორისო დონეზე
- **ხარისხის სტანდარტის** დანერგვა **არაფორმალურ განათლებასა** და საერთაშორისო **ახალგაზრდულ მუშაობაში**
- **ადამიანის უფლებათა** და **ფუნდამენტურ თავისუფლებათა** პატივისცემის სულისკვეთების დამკვიდრება **საერთაშორისო დონეზე**

- *ტრენინგები*
- *სასწავლო სესიები*
- *ახალგაზრდობის მშვიდობის ბანაკები*
- *საკონსულტაციო შეხვედრები*
- *სემინარები*
- *კონფერენციები*

## განათლება და სწავლება

- ევროპის **ახალგაზრდა გამავრცელებელთა** ტრენინგი ევროპის საბჭოს **ღირებულებებში**
- ევროპული საზოგადოების ყველა სპექტრიდან **ახალგაზრდა ადამიანების გაძლიერება**, რათა მონაწილეობდნენ **პლურალისტულ დემოკრატიაში** და ამკვიდრებდნენ **ადამიანის უფლებებს**
- **კვლევითი და საგანმანათლებლო გზამკვლევების** გამოშვება ახალგაზრდული მუშაკებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისათვის

„ევროპის მშენებლობაში ევროპელი ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტი“

**ევროპული ახალგაზრდული ცენტრების წესდება**

**მიზნობრივად აგებული, თანამედროვე და მოქნილი სატრენინგო, საკონფერენციო და შეხვედრების საერთაშორისო ცენტრები საცხოვრებელი სივრცეებითურთ**



# ევროპული ახალგაზრდული ფონდი (EYF)

- ფონდი, რომელიც მხარს უჭერს ევროპულ ახალგაზრდულ აქტივობებს და ახალგაზრდულ მუშაობას ევროპაში
- ინსტრუმენტი, რომელიც ავრცელებს ევროპის საბჭოს ღირებულებებს
- ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ქსელების პარტნიორი
- არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგრადობის დამხმარე



ევროპული ახალგაზრდული ფონდის სახელმძღვანელო პრინციპი: ახალგაზრდა ადამიანების **მეშვეობით, მათთან ერთად** და **მათთვის**

## ფინანსური და საგანმანათლებლო მხარდაჭერა

- **პროექტები**
  შემუშავებულია ახალგაზრდა ადამიანების მეშვეობით, მათთან ერთად და მათთვის
  ხელს უწყობს ახალგაზრდული სექტორის პრიორიტეტებს
  მორგებულია ახალგაზრდა ადამიანების საჭიროებებს
- **მიდგომები**
  არაფორმალური განათლება
  გენდერული პერსპექტივა
  მოხალისეობრივი დრო
- **წლიური მონაცემები**
  მხარდაჭერილია 300-მდე ახალგაზრდული აქტივობა
  ჩართულია 15 000-მდე ახალგაზრდა ადამიანი
  დახარჯულია 2,9 მილიონ ევრომდე

EYF
european youth foundation
fonds européen pour la jeunesse

- *საერთაშორისო აქტივობები*
- *წლიური სამუშაო გეგმები*
- *სტრუქტურული გრანტები*
- *საპილოტე აქტივობები*





## Youth Partnership

Partnership between the European Commission and the Council of Europe in the field of Youth

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE / CONSEIL DE L'EUROPE

## საერთო ევროპული მიდგომა

- **ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერება**
  პლატფორმა თანამშრომლობისათვის
  ცოდნის ლაბორატორია
  ახალი მიდგომებისათვის ნიადაგის მოსინჯვა

- **მიზნების განხორციელება**
  რასაც ითვალისწინებს ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია 2019-27: „ახალგაზრდა ადამიანების მოზიდვა, დაკავშირება და გაძლიერება“

  რასაც ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია 2030: „ახალგაზრდა ადამიანების ზიარება ევროპის საბჭოს ღირებულებებთან“

- **საჭიროებათა დაკმაყოფილება**
  ახალგაზრდა ადამიანების, გადაწყვეტილების მიმღები პირების, სამთავრობო ექსპერტების, ახალგაზრდობის მკვლევრებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების

- **დამაკავშირებელი ბმულები**
  მმართველობის სამკუთხედის კუთხეებს შორის: **ახალგაზრდობის კვლევა, ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული მუშაობა**







## ქსელები, რესურსები და ინსტრუმენტები

- ახალგაზრდული პოლიტიკის ევროპული ცოდნის ცენტრი
- ახალგაზრდობის ევროპელ მკვლევართა ქსელი
- წიგნები ახალგაზრდობის პოლიტიკაზე
- ახალგაზრდობის პერსპექტივა
- სასწავლო მობილობის ევროპული პლატფორმა
- ახალგაზრდული მუშაობის განვითარება
- ახალგაზრდულ მუშაობასა და ახალგაზრდულ პოლიტიკაზე ღია ონლაინ კურსების მასობრივი შექმნა
- სატრენინგო საშუალებები/სახელმძღვანელოები
- ჟურნალი „კოიოტი“

# ერთობლივად მართული სისტემა






## ნოვატორული პრინციპები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

- შევუერთოთ ახალგაზრდა ევროპელების ხმა ახალგაზრდობის საქმეებზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოების ხმას
- ვაჩვენოთ მონაწილეობითი დემოკრატიისა და მოქალაქეთა ჩართულობის ცოცხალი მაგალითი
- იდეები და გამოცდილება გავცვალოთ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით
- შევძინოთ ჩვენს პროექტებს კანონიერება და რელევანტურობა, ხოლო სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობას - მრავალმნიშვნელოვნება

## ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია 2030

- პლურალისტური დემოკრატიის გამოცოცხლება
- ახალგაზრდა ადამიანების წვდომა უფლებებზე
- ერთად ცხოვრება მშვიდობიან და ინკლუზიურ საზოგადოებებში
- ახალგაზრდული მუშაობა

### ერთობლივად მართული სტრუქტურა

საკონსულტაციო საბჭო ახალგაზრდობის საკითხებზე (CCJ)

**ერთობლივი საბჭო ახალგაზრდობის საკითხებზე (CMJ)**

ევროპული მმართველი კომიტეტი ახალგაზრდობის საკითხებზე (CDEJ)

პროგრამების კომიტეტი ახალგაზრდობის საკითხებზე






Youth – Jeunesse

**დემოკრატიისა და ადამიანური ღირსების გენერალური დირექტორატი**
**დემოკრატიული მონაწილეობის დირექტორატი**
**ახალგაზრდობის დეპარტამენტი**

- www.coe.int/youth
- youth@coe.int

**ევროპული ახალგაზრდული ფონდი**

- http://eyf.coe.int
- eyf@coe.int

**ევროპული ახალგაზრდული ცენტრები სტრასბურგსა და ბუდაპეშტში**

- reception.eycs@coe.int
- eycb.secretariat@coe.int

**ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობა**

- http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership
- youth-partnership@partnership-eu.coe.int




PREMS 012823

KAT

**www.coe.int**

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE